



ქუთაისის საქალაქო სასამართლო  
ქუთაისი, კუპრამის ქ. 11

---

080310022005527229

20.06.2022წელი

3/92-2022

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, ,

გეგზავნებათ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა  
კოლეგიის 14.06.2022 წლის გადაწყვეტილება

დანართი: გადაწყვეტილება „11“ფურცელი.

მოსამართლის თანაშემწე

ალექსანდრე ხაჭაპურიძე

20.06.2022წ.



გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით

14 ივნისი, 2022 წ.

ქ. ქუთაისი

შესავალი ნაწილი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო  
მოსამართლე - მალხაზ ჩუბინიძე  
სხდომის მდივანი- ელისო ჟორჟოლიანი

მოსარჩელები: 1. კობა გურული (პ/ნ 60001024596)  
2. ბესიკ ბრეგაძე (პ/ნ 60002000768)  
3. ანა კობრეიძე (პ/ნ 60001042924)

მოპასუხე: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

წარმომადგენელი: მაია სვინტრაძე -სანებლიძე; დიმიტრი ახალაძე.


დავის საგანი : ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალება.

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნას ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის #38 განკარგულება კობა გურულის, ბესიკ ბრეგაძის და ანა კობრეიძის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ.

1.2. ბათილად იქნას ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის #38 სხდომის ოქმი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია



„ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის ნაწილში;

1.3. ბათილად იქნას ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 25 იანვრის დასკვნა;

1.4. ბათილად იქნას ცნობილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის # 3 სხდომის ოქმი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის ნაწილში.

1.5. დაევალოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთობა ქუთაისისათვის“ დარეგისტრირება.

**დავის არსი:**

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი არიან ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, რომლებმაც მიმართეს წერილობითი განცხადებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის მოთხოვნით. მათ მიერ წარდგენილ იქნა კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, სხდომის ოქმი, წესდება.

საკითხი ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის თაობაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 20 იანვრის სხდომაზე (სხდომის ოქმი # 6), ასევე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის (სხდომის ოქმი #3) და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის სხდომებზე (სხდომის ოქმი #3).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის #38 განკარგულებით უარი ეთქვათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე.

სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველად მითითებულია, რომ ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არ აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. კონკრეტულ შემთხვევაში კი, რადგან ბესიკ ბრეგამისა და ანა კობრეიძის წარმდგენი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უკვე შექმნილია და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მათ არ აქვთ ფრაქციის შექმნის უფლება. აღნიშნული მიაჩნიათ უკანონოდ.

**2. მოპასუხის პოზიცია**





2.1. მოპასუხის წარმომადგენლები მათ სვინტრაძე-სანებლიძე და დიმიტრი ახალაძე არ დაეთანხმნენ სასარჩელო მოთხოვნას და განმარტეს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად - თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. მტკიცებულებები წარმოდგენილია ამავე კოდექსის ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოსარჩელის მიერ, თუმცა მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევს კანონის ინტერპრეტაციას რომელიც გახდა საფუძველი იმ აქტის გამოცემისა რომლის ბათილად ცნობასაც მოითხოვს.

მოსარჩელე მოთხოვნის საფუძველად ასახელებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლს, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელის შესახებ წესს. წარმოდგენილი სარჩელით კი მოსარჩელე უპირველესად ითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოწესრიგების საგანია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის თანახმად: საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელიც ფრაქციის რეგისტრაციისათვის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას მიმართავს განცხადებით. განცხადებაში აღინიშნება ფრაქციის სახელწოდება, მისი თავმჯდომარისა და ფრაქციის წევრთა ვინაობა. განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს ფრაქციის ყველა წევრის მიერ. განცხადებას თან უნდა დაერთოს ფრაქციის მიერ მიღებული ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის წესდება. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია განცხადების, პოლიტიკური პლატფორმისა და ფრაქციის წესდების წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს შესაბამის დასკვნას. ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი შეიტანება საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში და განიხილება რიგგარეშედ.

საკრებულო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასკვნას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საკრებულო ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-





ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია ორი ფრაქცია ფრაქცია „ქართული ოცნება“ და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა; კობა გურულმა (რომელიც წარმოდგენილია სტრატეგია აღმაშენებლის მიერ ), ბესიკ ბრეგაძემ ( რომელიც წარმოდგენილია პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ) და ანა კობრეიძემ (რომელიც წარმოდგენილია პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განცხადებით აცნობეს, რომ შექმნეს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისთვის“ რომლის თავმჯდომარედ არჩეულია კობა გურული, ხოლო წევრები არიან ბესიკ ბრეგაძე და ანა კობრეიძე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. კანონის ამ ჩანაწერის მიხედვით, ბესიკ ბრეგაძესა და ანა კობრეიძეს არ აქვთ უფლება შექმნან ფრაქცია, რადგან მათი წარმდგენი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, უკვე შექმნილია და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი უშვებს შესაძლებლობას ფრაქცია შეიქმნას როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე, აღნიშნული პუნქტი მათზე ვერ გავრცელდება, ვინაიდან ახალი ფრაქციის შექმნის მსურველ პირთაგან ორი - ბესიკ ბრეგაძე და ანა კობრეიძე არ წარმოადგენდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ დამოუკიდებელ მაჟორიტარ კანდიდატებს, არამედ არიან პარტიის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატები. საქართველოს ორგანულ კანონის „ საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-2 მუხლს თანახმად - შ) მაჟორიტარი კანდიდატი -მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ, პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილ საქართველოს მოქალაქე;

მოსარჩელის მიერ სადავო აქტის იმდაგვარი განმარტება რომ მათ უშუალოდ და პირდაპირ შეეზღუდათ უფლებები, აეკრძალათ ფრაქციაში გაერთიანება - არასწორია, რადან მიუხედავად იმისა რომ თავად მოსარჩელე მაჟორიტარი დეპუტატები არ არიან აწარმოებულ არც ერთ ფრაქციაში, მათი წარმდგენი პარტია ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახით, შესაბამისად მათ აქვთ უფლება ნებისმიერ დროს შეუერთდნენ ფრაქციას, ფრაქციულ წესით მუშაობაში ჩართვისათვის.

ამასთანავე აღსანიშნავია რომ ისინი დამოუკიდებელი დეპუტატების სტატუსით





ჩართული არიან ყველა კომისიის მუშაობაში რომელში ჩართვის სურვილიც კანონით დადგენილი წესით გამოთქვეს. ფრაქციის გარეთ ყოფნა მხოლოდ მათი პირადი სურვილის შედეგია და არა სადავო აქტის შინაარსის შედეგი. კობა გურული წარმოადგენს პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელს“, ბესიკ ბრეგაძე და ანა კობრიძე წარმოადგენენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“, რის გამოც აუცილებელია დაცული იქნას კანონის იმპერატიული მოთხოვნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N38 განკარგულება გამოცემულია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის არანაირი საფუძველი. რაც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 25 იანვრის დასკვნას; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა ფრაქცია „ერთობა ქუთაისისთვის“ დაფუძნების შესახებ განცხადება, შეამოწმა შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და ვინაიდან იგი არ იყო შესაბამისობაში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან, მოამზადა უარყოფითი დასკვნა. აღნიშნულის შემდგომ საკრებულოს გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ ახალი ფრაქციის დაფუძნებაზე.

### 3. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. საქმის მასალებით - მოსარჩელები არიან ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, კობა გურული წარმოადგენს პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელს“, ბესიკ ბრეგაძე და ანა კობრიძე წარმოადგენენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“, რომლებმაც მიმართეს წერილობითი განცხადებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის მოთხოვნით.

მტკიცებულება: მხარეთა ახსნა-განმარტება: განცხადება. სხდომის ოქმი; წესდება; (ტ.1. ს/ფ. 12-18).

3.1.2. საქმის მასალებით - მოსარჩელეთა განცხადება ფრაქციის შემქნის თაობაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 20 იანვრის სხდომაზე (სხდომის ოქმი N 6), ასევე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის (სხდომის ოქმი N 7) და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის (სხდომის ოქმი; 3)

მტკიცებულება: სხდომის ოქმი. (ტ.1. ს/ფ.19-37)



3.1.3. საქმის მასალებით - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022



წლის 26 იანვრის N38 განკარგულებით, მოსარჩელებს უარი ეთქვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე.  
მტკიცებულება: დასკვნა; სხდომის ოქმი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N38 განკარგულება (ტ.1. ს/ფ.38-71)

### 3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. მოცემულ შემთხვევაში სადავო გარემოებაა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას, მოხდა თუ არა სრულყოფილად იმის გამოკვლევა, რაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილების მიღებას დაედო საფუძვლად, აღნიშნული კი სამართლებრივი მსჯელობის და შეფასების კატეგორიას წარმოადგენს.

## სამოტივაციო ნაწილი

### 4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

4.1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### 5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

5.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.  
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.  
საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

### 6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

6.2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

6.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის #38 განკარგულება „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ; ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის #6 სხდომის ოქმი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის ნაწილში; ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს





იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 25 იანვრის დასკვნა; ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის # 3 სხდომის ოქმი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის ნაწილში წარმოადგენენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის კანონშესაბამისობაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემული სარჩელის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამდენად, სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლიანობის შესახებ.

6.4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60. 1 მუხლის თანახმად:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.
2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.
3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

6.5 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად - ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. (გვლილება 19.11.2021, №1031)



ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით - ფრაქციის შექმნის მსურველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიმუშავენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადათიანებზე ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება



განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით. (ცვლილება 19.11.2021. №1031)

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები. იმავე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

მოსარჩელებების განმარტებით, ვინაიდან ისინი არ არიან გაერთიანებული ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არცერთ ფრაქციაში, მათ უფლება აქვთ დაარსონ ახალი ფრაქცია და გახდნენ მისი წევრები.

~~სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული მსჯელობა არ გამომდინარეობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის დანაწესიდან, რადგან უდავო ფაქტია, რომ ბუსიკ ბრეგამე და ანა კობრიძე წარმოადგენენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით წარდგენილ დეპუტატებს. ასევე უდავოა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ორი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, ხოლო საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად-ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. (იხ.ცვლილება 19.11.2021. №1031). (ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ მხოლოდ ერთსა და იმავე ფრაქციაში (ასეთი ფრაქცია შეიძლება შექმნან ორი ან მეტი პარტიის წევრებმაც)).~~

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოხმობილი სამართლის ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება კანონის მიზანს, ამასთან დაცულია საკრებულოს წევრის კონსტიტუციური უფლება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში გაერთიანების უზრუნველყოფის შესახებ. (საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი).

~~სასამართლო აქვე მიუთითებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილებების განმარტებით ბარათზე, სადაც აღნიშნულია რომ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილებები გამორიცხავს საკრებულოში ფრაქციების ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას, რომელთაც თავის მხრივ ჰყავთ თავმჯდომარე და მოადგილე. წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შექმნიან მხოლოდ ერთ ფრაქციას, შესაბამისად გამოირიცხება მცირე ფრაქციების ხელოვნურად შექმნა. (იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანული კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ).~~



საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული, რომ კანონი კარის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ უნდა განმარტდეს კანონმდებლის ნამდვილი მიზნის, განზრახვის ადეკვატურად.



სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს - გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. (საქმე №ბს-670(3კ-19)).

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა, რაც წინამდებარე სარჩელის დაკმაყოფილებას გამოიცხავს.

6... საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით: 1. სარჩელი შეიძლება აღიმრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. 2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგება კანონს და არანაირად არ ლახავენ მოსარჩელების კანონიერ უფლებებს და ინტერესებს, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი

6.7. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სარჩელი შეიძლება აღიმრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად: 1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვევს მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას,



რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან არ გამოიკვეთა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების ბათილობის საფუძველი, სასამართლოს შიანია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ ფრაქციის „ერთობა ქუთაისისათვის“ დარეგისტრირების შესახებ ასევე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## 7. სასამართლო ხარჯები:

7.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილით-სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მოსარჩელეთა მიერ სარჩელის განხილვისთვის გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი (ს.ფ.72).


სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სარჩელზე გადახდილი სახ. ბაჟი უნდა დარჩეს სახ. ბიუჯეტში.

## სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

პირველი ნაწილის (3/5 60001024596), ბესიკ ბრეგამის (3/5 60002000768) და ანა კობინების (3/5 60001042924) სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.





- 2. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
- 3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს.
- 4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით მისი ასლის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში /მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ. №32/ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით /მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრადის ქ. №11.

მოსამართლე



მალხაზ ჩუბინიძე